გგანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

## სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 8 აგვისტო, 2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 2180076542 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ეკონომიკა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ეკონომიკის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ეკონომიკა 0311 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება # 45 (20.03.2020). |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა ლეკაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | იოსებ ბერიკაშვილი, შპს - კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნის პროექტი

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება აკრედიტაციის რეჟიმში (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N45; (20.03.2020). არაგეგმიური მინოტორინგის მიზანით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისობა 2019 წლის 10 აპრილის N69/6 ბრძანებით დამტკიცებულ ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროს კლასიფიკატორთან“ 1-ელ, მე-2-ე და მე-4-ე სტანდარტებთან მიმართებით.
ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა მოაგროვოს 240 ECTS კრედიტი, საიდანაც 126 ECTS კრედიტი ძირითად სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევით საგნებზეა გათვალისწინებული, ხოლო დარჩენილი 114 ECTS კრედიტიდან 10 ECTS კრედიტი ეთმობა პრაქტიკის კომპონენტს და 104 ECTS კრედიტი თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისგან და თავისუფალი კომპონენტებისგან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროს კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით უნივერსიტეტის მხრიდან მოწოდებული იქნა როგორც კანონით განსაზღვრული დოკუმენტები, ასევე, დამატებითი მასალები და მტკიცებულებები. თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებით ინფორმაცია. კერძოდ,

1. აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი და გადაწყვეტილება;
2. სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა სამეცნიერო პროექტებში, კონფერენციებში ჩართულობის შესახებ;
3. პრაქტიკის ამსახველი დოკუმენტაცია, დღიური (3 სხვადასხვა შეფასების).

4. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძებების შესახებ ინფორმაცია, სტატისტიკური მონაცემები, მხარდაჭერის მექანიზმები; მათი მონაწილეობა კონფერენციებში (სტატისტიკა);
5. საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ინფორმაცია);
6. ბიბლიოთეკიდან ცნობა წიგნადი ფონდის პროგრამის სილაბუსების ძირითად ლიტერატურასთან დადარების, წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის და საერთაშორისო ბაზებზე წვდომის სტატისტიკა;
7. პროგრამის ბიუჯეტი.

ასევე, მოგვიანებით იქნა გამოთხოვილი 2 აკადემიური პერსონალის პირადი საქმე და აკადემიური პერსონალის აფილირების წესი.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ დასკვნის პროექტზე მიღებული არგუმენტირებული პასუხის და თანდართული მასალების შესწავლის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა მოეხსნა ორი რეკომენდაცია, კერძოდ,

- გადამუშავდეს სავალდებულო ლიტერატურის კომპონენტი და ძველი ლიტერატურა ჩანაცვლდეს ახლით, ან გადატანილ იქნას დამატებით ლიტერატურაში შემდეგ სასწავლო კურსებში: ,,ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“, ,,განათლების ეკონომიკა“, ,,ეკონომეტრიკა“, ,,სოციალური ეკონომიკა“, ,,სოციოლოგიის საფუძვლები“, ,,შრომის ეკონომიკა“, ,,წერითი და ზეპირი კომუნიკაციები“;
- მიზანშეწონილია, შესაბამისი ხელშეკრულებით დაკონკრეტდეს პრაქტიკის ხანგრძლივობა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა და უნივერსიტეტმა გააგრძელოს მუშაობა პრაქტიკის ახალი ობიექტების მოძიების მიმართულებით (გადავიდა რჩევებში).

სამივე მათგანი იქნა მიღებული დაწესებულების მიერ, გათვალისწინებული და ასახული პროგრამაში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროს კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. კერძოდ, სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან: 1.1, 1.2, 2.1, 2.3, 2.4, 2.5, 2.6, 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 ქვესტანდარტები. მეტწილ შესაბამისობაშია 2.2. ქვესტანდარტი.

- **რეკომენდაციები**

- წინაპირობები მოითხოვს კორექტირებას შემდეგ საგნებში: ,,ეკონომეტრიკა“, ,,ქცევის ეკონომიკა“, ,,ტურიზმის ეკონომიკა“, ,,მენეჯერული ეკონომიკა“, ,,ეკონომიკური პოლიტიკა“, ,,მეწარმეობა“, ,,ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია“.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია, მესამე მიზნის ფორმულირებაში დამამთავრებელი ნაწილის სტილისტურად გამართვა;
  - სასურველია, პროგრამაშიც მიეთითოს ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნები, რაც გაზრდის წინაპირობებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;
  - ზოგიერთ სილაბუსში („კომპიუტერული უნარ-ჩვევები“, „ოპერაციათა კვლევა“, „პრაქტიკა, “„სოციალოგიის საფუძვლები“, „ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი“) არის გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, ასევე, უზუსტობები ქულებთან დაკავშირებით, რაც უნდა გადაიხედოს და დაზუსტდეს;
  - სასურველია, პროგრამაში ჩანდეს, რომელი პერსონალი რომელ საგანს უძღვება, რაც გააადვილებს მომავალში პროგრამის მონიტორინგს;
  - შესაბამისი ხელშეკრულებით დაკონკრეტდეს პრაქტიკის ხანგრძლივობა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა და უნივერსიტეტმა გააგრძელოს მუშაობა პრაქტიკის ახალი ობიექტების მოძიების მიმართულებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის მიზანია ,,სტუდენტს:<br>1. მისცეს ფართო ცოდნა ეკონომიკის ძირითადი ცნებების, პრინციპების, თეორიების, კონცეფციების და ეკონომიკის უახლესი ასპექტების შესახებ;<br><br>2. განუვითაროს ეკონომიკის სფეროს პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელი პრაქტიკული უნარები, აგრეთვე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, კვლევის დაგეგმვის, განხორციელების და მიღებული შედეგების გაანალიზების უნარი;<br><br>3. გამოუმუშაოს ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებებისა და დასკვნების ჩამოყალიბების და, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით, მათი კომუნიკაციის უნარი;<br><br>4. განუვითაროს ცოდნის განახლებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით პროფესიული საქმიანობის უნარი“.<br>პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან“. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნები არ შეცვლილა. თუმცა, სასურველია, მესამე მიზნის ფორმულირებაში დამამთავრებელი ნაწილის სტილისტურად გამართვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ უნივერსიტეტის მიერ ბაკალავრიატის საგანამანათლებლო პროგრამის ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;<br>○ 2019 წლის 10 აპრილის N69/6 ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩო“;<br>○ ,,სწავლების სფეროს კლასიფიკატორი“; |

| |
|---|
| ○ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ სასურველია, მესამე მიზნის ფორმულირებაში დამამთავრებელი ნაწილის სტილისტურად გამართვა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტის მიერ ბაკალავრიატის საგანამანათლებლო პროგრამის ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და შედეგები არ შეცვლილა, ხოლო სწავლის შედეგები ფორმულირებულია ახლანდელ დროში და გამოყენებულია აქტიური ზმნის ფორმები.<br><br>პროგრამას აქვს 8 სწავლის შედეგი. კერძოდ, |

**ცოდნა და გაცნობიერება**

1. აღწერს თანამედროვე ეკონომიკურ კონცეფციებსა და მოდელებს, მიკრო და მაკროეკონომიკური პროცესების მახასიათებლებს, ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს;
2. განსაზღვრავს საოჯახო მეურნეობების, ფირმების ქცევაზე მოქმედი ფაქტორების, ეროვნული შემოსავლის წარმოების, განაწილების და მოხმარების, დანაზოგების და ინვესტიციების, შრომის, საქონლის, მომსახურების და ფინანსურ ბაზრებზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობას.

**უნარი**

3. ამოიცნობს ეკონომიკის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებულ პრობლემებს და იყენებს შესაბამის მეთოდებსა და პრაქტიკულ უნარებს მათი გადაჭრის მიზნით;
4. აანალიზებს ეკონომიკისათვის დამახასიათებელ მონაცემებს და სიტუაციებს სათანადო მეთოდების გამოყენებით და აყალიბებს სათანადო დასკვნებს, შესაბამისი სოციალური, სამეცნიერო და ეთიკური საკითხების გათვალისწინებით;
5. შეიმუშავებს ეკონომიკის სფეროში კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
6. მსჯელობს შესაბამისი ტერმინოლოგიით საკუთარი იდეების, ეკონომიკის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში იყენებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

7. შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენისა და ცოდნის მუდმივად განახლების საფუძველზე ავითარებს საკუთარ პროფესიულ უნარებს;
8. პროფესიული საქმიანობისას მოქმედებს სათანადო პასუხისმგებლობითა და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით.

სწავლის შედეგების პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი მიიღწევა ისეთი სასწავლო-პრაქტიკული კომპონენტებით, როგორებიცაა ,,ქცევის ეკონომიკა“, ,,ეკონომეტრიკა“, ,,ოპერაციათა კვლევა“ და ,,პრაქტიკა“. ამ კომპონენტებში გამოყენებული სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები ემსახურება პრაქტიკული უნარების განვითარებას. პრაქტიკას, როგორც სავალდებულო კომპონენტს, პროგრამა სტუდენტს სთავაზობს მერვე სემესტრში და იგი ემსახურება ეკონომიკის თეორიული გაღრმავებული კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში განმტკიცების მიზანს.
სწავლების სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით ეკონომიკა მიეკუთვნება დეტალურ სფეროს, რომელიც შედის სოციალური და ქცევითი მეცნიერებების ვიწრო სფეროში და, თავის მხრივ, სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია - ფართო სფეროში. იგი შეისწავლის ეკონომიკის პოლიტიკას, თეორიასა და ეკონომიკური

| |
|---|
| გადაწყვეტილების მიღებას.<br>უნივერსიტეტის მიერ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სწავლების სფეროს თავისებურებებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, ასევე, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ უნივერსიტეტის მიერ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;<br>○ 2019 წლის 10 აპრილის N69/6 ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩო“;<br>○ ,,სწავლების სფეროს კლასიფიკატორი“;<br>○ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის წინაპირობების ნაწილში ვკითხულობთ: ,,საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს“.<br>პროგრამაზე დაშვების ყველა წინაპირობა და მისი განხორციელებისათვის დადგენილი პროცედურა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.<br>,,ცნობარი აბიტურიენტებისთვის 2022“-ის გაცნობიდან (გვ.709) ვიღებთ ინფორმაციას, რომ შესაფასებლად წარმოდგენლ პროგრამაზე ჩასარიცხად ეროვნულ გამოცდებზე მოითხოვება ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული)) და მათემატიკა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის შესაბამისი, გამჭირვალე და სამართლიანი. თუმცა, სასურველია, თვით პროგრამაშიც მიეთითოს ეროვნულ გამოცდებზე |

ჩასაბარებელი საგნები, რაც გაზრდის წინაპირობებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის მიერ ბაკალავრიატის საგანამანათლებლო პროგრამის ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩო“;
- ,,სწავლების სფეროს კლასიფიკატორი“;
- ცნობარი აბიტურიენტებისთვის 2022;
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- სასურველია, პროგრამაშიც მიეთითოს ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნები, რაც გაზრდის წინაპირობებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს

| |
|---|
| პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა მოაგროვოს 240 ECTS კრედიტი, საიდანაც 136 ECTS კრედიტი ძირითად სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევით საგნებზეა გათვალისწინებული, შესაბამისად, 116 და 20 ECTS კრედიტი. აქედან 10 ECTS კრედიტი ეთმობა პრაქტიკის კომპონენტს. 104 ECTS კრედიტი თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებზე გაწერილი, მათ შორის საბაზისო სასწავლო კურსებზე 20 და 24 ინგლისური ენის კომპონენტზე ECTS კრედიტი. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისგან და თავისუფალი კომპონენტებისგან.<br>უნივერსიტეტის მიერ ბაკალავრიატის საგანამანათლებლო პროგრამის ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა არ შეცვლილა, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას; ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებში ასახულია მხოლოდ სავალდებულო კომპონენტების შესაბამისი შინაარსი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება წარმოდგენილი მასალებით.<br>პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამით განსაზღვრული მიზნებსა და, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებში ასახულია მხოლოდ სავალდებულო კომპონენტების შესაბამისი შინაარსი.<br>პროგრამის სტრუქტურა მეტწილად თანმიმდევრული და ლოგიკურია, რაც დგინდება პროგრამით და სილაბუსებით. კერძოდ, სასწავლო კურსებს ,,ეკონომეტრიკა“, ,,ქცევის ეკონომიკა“ და ,,ტურიზმის ეკონომიკა“, იქიდან გამომდინარე, რომ სავალდებულო ლიტერატურაში არის ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, დაემატოს ინგლისური ენის წინაპირობა შესაბამისი დონის მითითებით; ,,მენეჯერული ეკონომიკის“ წინაპირობა ჩასწორდეს და ,,მაკროეკონომიკის“ ნაცვლად მიეთითოს ,,მიკროეკონომიკა“; ,,ეკონომიკური პოლიტიკის“ წინაპირობა ჩასწორდეს და ,,მაკროეკონომიკის პრინციპების“ ნაცვლად მიეთითა ,,მაკროეკონომიკა“; ,,მეწარმეობას“, რომელიც მეხუთე სემესტრში იკითხება, წინაპირობად განესაზღვროს ,,მიკროეკონომიკის პრინციპები“; ,,ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიას“ წინაპირობად განესაზღვროს ,,მაკროეკონომიკის საფუძვლები“.<br>პროგრამასა და წარმოდგენილ ანგარიშში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაცია (Bachelor of Economics), რაც შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციის დასახელებას (ბაკალავრი დეტალური სწავლის |

| |
|---|
| სფეროს მითითებით Bachelor – Field of study). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ უნივერსიტეტის მიერ ბაკალავრიატის საგანამანათლებლო პროგრამის ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;<br>○ 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩო“;<br>○ ,,სწავლების სფეროს კლასიფიკატორი“;<br>○ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა;<br>○ ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების მატრიცა. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინაპირობები მოითხოვს კორექტირებას შემდეგ საგნებში: ,,ეკონომეტრიკა“, ,,ქცევის ეკონომიკა“, ,,ტურიზმის ეკონომიკა“, ,,მენეჯერული ეკონომიკა“, ,,ეკონომიკური პოლიტიკა“, ,,მეწარმეობა“, ,,ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია“. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; |

| |
|---|
| ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>წარმოდენილი მასალების შესწავლიდან ირკვევა, რომ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსები 3, 4, 5 დ 6 ECTS კრედიტიანია, ხოლო  პრაქტიკაზე გამოყოფილია 12 ECTS კრედიტი. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.<br>სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დადასტურდა დასკვნის პროექტში წარმოდგენილი რეკომენდაციის გათვალისწინებით. კერძოდ, რიგ სასწავლო კურსებში თანამედროვე სახელმძღვანელოებთან ერთად მითითებული იყო ძველი გამოცემებიც. კერძოდ: ,,ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“ 2019 წლის სახელმძღვანელოსთან ერთად მითითებული იყო 1990 და 2011 წლის ლიტერატურა, ,,განათლების ეკონომიკა“ – 2004 წლის სახელმძღვანელო,  ,,ეკონომეტრიკა“ – 2009 წლის სახელმძღვანელოები, ,,სოციალური ეკონომიკა“ - 2013 და 2008 წლის სახელმძღვანელოები, ,,სოციალური სტატისტიკა“ – 2013, 2014, 2015 წლის სახელმძღვანელოები, ,,სოციოლოგიის საფუძვლები“ -  2013 წლის სახელმძღვანელო, ,,შრომის ეკონომიკა“ - 2000 წლის სახელმძღვანელო, ,,წერითი და ზეპირი კომუნიკაციები“ - - 2009 წლის სახელმძღვანელო. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და გადაამუშავა ლიტერატურის კომპონენტი სილაბუსებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ უნივერსიტეტის მიერ ბაკალავრიატის საგანამანათლებლო პროგრამის ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;<br>○ 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩო“;<br>○ ,,სწავლების სფეროს კლასიფიკატორი“;<br>○ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება** |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის მიხედვით პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწინებულია პროგრამის ძირითად ბადეში 10 კრედიტიანი საგნით „პრაქტიკა“. სტუდენტებს უნივერსიტეტი სთავაზობს საწარმოო პრაქტიკის გავლას მის პარტნიორ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უსდ-ს აქვს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები. წარმოდგენილი იყო მემორანდუმები სს ,,ლიბერთი ბანკთან“, სს ,,სარაჯიშვილი“-თან (მოქმედების ვადა ამოეწურა 2021 წლის 31 დეკემბერს) და სსკ საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატასთან. წარმოდგენილ მასალებში მოცემული მემორანდუმებით ვერ დგინდებოდა, რამდენი სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს პრაქტიკის ობიექტს. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები უნდა ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. შესაბამისად, გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ შესაბამისი ხელშეკრულებით დაკონკრეტდეს პრაქტიკის ხანგრძლივობა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა. ამასთან, უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს მუშაობა პრაქტიკის ახალი ობიექტების მოძიების მიმართულებით. დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პასუხის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა მემორანდუმების განახლებული პაკეტი (5 მემორანდუმი), სადაც ნაწილში მითითებულია პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა, თუმცა ნაწილი კვლავ საჭიროებს დაზუსტებას. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს ჩვენს რეკომენდაციას და, შესაბამისად, ჩვენი თვალსაზრისი გადავიდა რჩევაში.
საწარმოო პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, პრაქტიკის მსვლელობისას სტუდენტი აწარმოებს დღიურს, იგი ყოველკვირეულად ფასდება, აქვს შუალედური გამოცდა/პრეზენტაცია, ხოლო პრაქტიკის დასრულების შემდეგ მას ევალება პრაქტიკის

ანგარიშის წარდგენა.

პროგრამაში ძირითად და არჩევითი საგანების ჩამონათვალში შემოთავაზებული კომპონენტები კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობას უზრუნველყოფს, რაც შეიძლება იქნას გამოყენებული პროგრამის მიღმა აქტივობებში ჩასართავად და ტრანსფერული უნარების გასავითარებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის მიერ ბაკალავრიატის საგანამანათლებლო პროგრამის ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩო“;
- ,,სწავლების სფეროს კლასიფიკატორი“;
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :**

- შესაბამისი ხელშეკრულებით დაკონკრეტდეს პრაქტიკის ხანგრძლივობა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა და უნივერსიტეტმა გააგრძელოს მუშაობა პრაქტიკის ახალი ობიექტების მოძიების მიმართულებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით სწავლა-სწავლება ხორციელდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით:
სალექციო მეთოდი; სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მუშაობის მეთოდი; დემონსტრირება; წიგნზე (სახელმძღვანელოზე) მუშაობა; დისკუსია; სავარჯიშო; ინდუქცია; დედუქცია; *ანალიზი* სინთეზი შემთხვევების შესწავლა (Case study) გონებრივი იერიში (Brain storming); როლური და სიტუაციური თამაშები პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია ელექტრონული სწავლება (E-learning).

აღსანიშნავია, რომ პროგრამით საზოგადოდ წარმოდგენილი მეთოდი/აქტივობა იკითხება წარმოდგენილ სილაბუსებში. აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიში არ გვაძლევს ინფორმაციას, შეიცვალა თუ არა სწავლის მეთოდები პროგრამაში ან ცალკეულ სასწავლო კომპონენტში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

| |
|---|
